<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 317 მუხლის შემდეგ დაემატოს 317^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 317^1. საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული შეიარაღებული აგრესიისა და დროებითი ოკუპაციის ფაქტის საჯაროდ უარყოფა.

1.საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული შეიარაღებული აგრესიისა და დროებითი ოკუპაციის ფაქტის საჯაროდ უარყოფა, რაც გამოიხატება ორი ან მეტი ადამიანისათვის ამ ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გავრცელებაში (წერილობითი, ზეპირი, გრაფიკული ან სხვა ფორმით)
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
2.იგივე ქმედება, ჩადენილი მასობრივი საინფორმაციო საშუალებით ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, -
ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით.
ამ კოდექსის მიზნებისთვის რუსეთის მიერ განხორციელებულ შეიარაღებულ აგრესიაში მოიაზრება 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების შემდგომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებული ქმედებები.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**